საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-5/745
20/01/2023

745-04-5-2-202301200941

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს

ბატონ მირიან ხარაბაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან

დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო მირიან,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კრედიტორ გ ბ.-ს წარმომადგენლის დავით ებრალიძის #12284/22 განცხადება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ #A22 საქმეზე ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით გამოწვეულ სამართლიან სასამართლოს უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით.

ფაქტობრივი გარემოებები:

განსახილველ საქმეზე როგორც განმცხადებლის, ისე თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის[1] გაცნობის შედეგად დადგინდა რომ:

[1] 25.11.2022 წ. #85467 და 07.12.2022 წ. 88119 წერილები./

2022 წლის 10 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი საქმეზე #2/22378-20 (მოსარჩელე:გ.ბ. მოპასუხე: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება, სამსახურში აღდგენა). სააღსრულებო ფურცლის თანახმად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა: 1.გ ბ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული ბრძანების ბათილად ცნობა, 2. მოსარჩელის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პოზიციაზე აღდგენა, 3. გ. ბ.-ს სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველი მოცდენილი თვისთვის .. ლარის ოდენობით (გადასახადების ჩათვლით), 20.. წლის .. სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, .. ლარის (გადასახადების ჩათვლით) გამოკლებით. გარდა ჩამოთვლილისა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გ. ბ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა მის სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით.

2022 წლის 13 ივნისს კრედიტორ გ. ბ.-ს წარმომადგენელმა თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართა და მოითხოვა ზემოაღნიშნული სააღსრულებო ფურცლის სარეზოლუციო ნაწილის სრულად აღსრულება.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2022 წლის 28 ივნისის #A22 წერილით/გადაწყვეტილებით კრედიტორის წარმომადგენელს განემარტა, რომ ვერ დაკმაყოფილდებოდა მისი მარწმუნებლის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებით, ვინაიდან გ. ბ. არ იყო აღდგენილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პოზიციაზე და ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით იძულებითი აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნა წარმოიშობოდა მხოლოდ მას შემდეგ რაც განხორციელდებოდა კრედიტორის აღდგენა სასამართლოს მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დასახელებულ პოზიციაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე წარმოდგენილ #12284/22 განცხადება/საჩივარში კრედიტორის წარმომადგენელი - უთითებს, რომ მისთვის როგორც ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო არა მხოლოდ #A22 საქმეზე, არამედ სხვა მსგავს საქმეებზეც კრედიტორის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის იძულებით აღსრულებას არ იწყებდა იმ პერიოდამდე სანამ უკანონოდ გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენა არ მოხდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა მიზეზით კრედიტორის სამსახურში აღდგენა შესაძლოა არასოდეს მოხდეს ან დროში ძალიან გაჭიანურდეს, აღსრულების ეროვნული ბიუროს უმოქმედობის შედეგად კრედიტორები იძულებული ხდებოდნენ დათანხმებოდნენ მორიგების იმ პირობას რასაც მოვალე მხარე მათ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის სანაცვლოდ შესთავაზებდათ.

განსახილველი საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თხოვა განემარტა თუ რატომ მიიჩნევდა ადმინისტრაციული ორგანო იძულებითი განაცდურის მიღების უფლებას დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენის თანმდევ სამართლებრივ შედეგად და რატომ არ განიხილავდნენ იძულებითი განაცდურის მიღების უფლებას დარღვეული შრომითი უფლების აღდგენის ერთ-ერთ კომპონენტად, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს ეთხოვა მიეთითებინა იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე რაც განსახილველ საქმეზე ხელს უშლიდათ გარკვეული პერიოდულობით (კრედიტორის სამსახურში აღდგენამდე)

მოეხდინათ იძულებითი განაცდურის იძულებითი აღსრულება.[2] გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა იმ აღუსრულებელ საქმეთა ბოლო სამი წლის სტატისტიკური მონაცემები, სადაც მოვალე მხარემ კრედიტორი არ აღადგინა სამსახურში და სწორედ აღნიშნული საფუძვლით არ ხდებოდა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

2022 წლის 25 ნოემბრის #85467 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიურომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ #A22 სააღსრულებო საქმეზე აღსრულების ეროვნული ბიურო მოქმედებდა სააღსრულებო ფურცლის ფარგლებში, რაც ადმინისტრაციული ორგანოსთვის ნიშნავდა, რომ სააღსრულებო ფურცლით დადგენილი აღსრულების საშუალება და წესი იყო ზუსტად ის ქმედება და მექანიზმი, რომლითაც უნდა აღსრულებულიყო სააღსრულებო ფურცელი. ბიუროს განმარტებით, სააღსრულებო ფურცლის თანახმად, იძულებითი განაცდური, როგორც იძულებითი აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნა, წარმოიშობოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდებოდა კრედიტორის აღდგენა სასამართლოს მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დასახელებულ პოზიციაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააღსრულებო ბიურომ კრედიტორს უარი უთხრა იძულებითი განაცდურის ნაწილში აღსრულების დაწყებაზე.[3] რაც შეეხება მსგავსი საქმეების სტატისტიკურ მონაცემებს, ადმინისტრაციულმა ორგანომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არ წარმოუდგინა მოთხოვნილი ინფორმაცია იმ მიზეზით რომ არ ჰქონდათ დამუშავებული მსგავსი სტატისტიკური მონაცემები.

ადმინისტრაციულმა ორგანომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს დამატებით აცნობა,[4] რომ განსახილველ სააღსრულებო საქმეზე მოვალე მხარემ - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ დააფიქსირა პოზიცია, რომ კრედიტორთან სურდა მოლაპარაკება და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის სანაცვლოდ სთავაზობდა მას 20.. წლის ბოლომდე ... ლარის (აღნიშნულ თანხაში არ შედიოდა აღსრულების საფასური და მოიცავდა 20.. წლის .. სექტემბრიდან 20.. წლის .. მარტამდე იძულებით განაცდურს) გადახდას. კრედიტორმა გ. ბ.-მ უარი განაცხადა მოვალესთან მოლაპარაკებაზე.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციისა[5] და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ევროპული კონვენცია) თანახმად[6] სასამართლო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტია. ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა დაცვისა და უკვე დარღვეული უფლების აღდგენის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლება და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულება

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 ნოემბრის #04-5/11630 წერილი.
[3] თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2022 წლის 28 ივნისის #A22095990-005/002.
[4] 25.11.2022 წ. #85467 და 07.12.2022 წ. 88119 წერილები.
[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 62.
[6] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6.

სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ნაწილია[7]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად არ აღსრულდება.[8]

განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ <u>თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2022 წლის 10 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი</u> (საქმეზე #2/22378-20), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს გ. ბ.-ს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პოზიციაზე აღდგენას და 20.. წლის .. სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველი მოცდენილი თვისთვის მის სასარგებლოდ .. ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, <u>დღემდე</u> <u>არ აღსრულებულა.</u> ერთადერთი გარემოება რის საფუძველზეც თბილისის სააღსრულებო ბიურომ უარი განაცხადა გ. ბ.-ს სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ნაწილში აღსრულების დაწყებაზე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული კრედიტორის სასარგებლოდ შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებაში მისი განმარტება, რომ იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნა წარმოიშობოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდებოდა კრედიტორის აღდგენა სასამართლოს მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დასახელებულ პოზიციაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავს საქმეებზე მოვალისგან იძულებითი განაცდურის ანაზღაურების იძულებითი ამოღება შესაძლოა იყოს მხარეზე ეფექტური ზემოქმედების საშუალება, რათა შეასრულოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და აღადგინოს კრედიტორი სასამართლოს მიერ მითითებულ პოზიციაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში, დროის გაჭიანურებასთან ერთად კრედიტორის წინაშე მისი ფინანსური ვალდებულებები გაიზრდება). სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტება, რომ იძულებითი განაცდურის ნაწილში იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება კრედიტორის აღდგენა სასამართლოს მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დასახელებულ პოზიციაზე, დამსაქმებელს უტოვებს შესაძლებლობას, სხვადასხვა მიზეზით არ აღადგინოს უკანონოდ გათავისუფლებული პირი სასამართლოს მიერ მითითებულ პოზიციაზე, თავი აარიდოს მძიმე ფინანსურ ვალდებულებების შესრულებას და სააღსრულებო პროცესის შეწყვეტის სანაცვლოდ კრედიტორს შესთავაზოს მისთვის ხელსაყრელი პირობა. სააღსრულებო ბიუროს მსგავსი ქმედება წინააღმდეგობაში მოდის სააღსრულებო სისტემის მიზანთან სისრულეში მოიყვანოს ,,სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები და იძულებითი აღსრულების პროცესი მოვალე მხარის ინტერესების სასარგებლოდ წარიმართება.

განსახილველი საკითხისადმი ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი განმარტება/მიდგომა დაუსაბუთებელია, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ იძულებითი განაცდურის ოდენობა დათვლადია დროის გარკვეულ მონაკვეთებშიც სსიპ სახელმწიფო

---

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება №9647/02 Shilyayev v. Russia.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 30/09/2016 წ. საქმე №1/2/596.

ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე გიორგი ბრეგვაძეს აღდგენამდე პერიოდშიც. საქართველოს უზენაესი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხასიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, რა დროსაც გადაწყვეტილების განმარტება უნდა ემსახურებოდეს სწრაფი და ეფექტური აღსრულების განხორციელების მიზანს და არა აღსრულების გაჭიანურებას.[9] საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსდმი ხელმისაწვდომობას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე.[10]

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით აპარატს მიაჩნია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ #A22 საქმეზე ადმინისტრაციული ორგანოს 2022 წლის 28 ივნისის #A22 გადაწყვეტილება კრედიტორის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ნაწილში იძულებითი აღსრულების დაწყებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით კანონშეუსაბამოა და დაუსაბუთებლად ზღუდავს გ. ბ.-ს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

1. #AA22 საქმეზე სააღსრულებო საქმის წარმოების ფარგლებში, იძულებითი განაცდურის ნაწილში, დაუყოვნებლივ დაიწყეთ კრედიტორის სასარგებლოდ იძულებითი სააღსრულებო პროცესი და გამოიყენეთ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობები 20.. წლის .. სექტემბრიდან სააღსრულებო პროცესის დაწყების დღემდე დაგროვილი იძულებითი განაცდურის თანხის გ. ბ.-ს ასანაზღაურებლად. ასევე, სამსახურში აღდგენამდე პერიოდში, კრედიტორის მოთხოვნის შესაბამისად, იძულებითი აღსრულების წარმოების პროცესში მოვალე მხარისგან განსაზღვრული პერიოდულობით მოხდეს იძულებითი განაცდურის თანხის ამოღება;
2. დროულად განახორციელოთ ყველა ის აუცილებელი ღონისძიება რაც მიმართული იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე #2/22378-20) დროული და ეფექტური აღსრულების უზრუნველსაყოფად და გ.ბ.-ს

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ბს-476-464(კ-13) 24.04.2014 წ., ას-999-960-2016 26.12.2016 წ.

[10] იქვე.

დარღვეული უფლების აღსადგენად.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

თამარ გვარამაძე

სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი

.